



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
28 მარტი, 2016

ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, გრანტით დაფინანსებული C-ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის გამორიცხვით, 2016 წლის თებერვალში იმპორტო წლიურად 11.1%-ით შემცირდა და 515.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტი კი 5.1%-ით შემცირდა და 158.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 13.5%-ით გაუმჯობესდა და 356.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის შემცირება ძირითადად განპირობებული იყო მსუბუქი ავტომობილების რე-ექსპორტის 43.4%-იანი და თხილის ექსპორტის 49.0%-იანი კლების შედეგად. თებერვალში ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ძირითად საექსპორტო მიმართულებებზე: სპილენძი (+163.8% წ/წ), ღვინო (+54.8% წ/წ), სპირტიანი სასმელები (+133.0% წ/წ) და ოქრო (+70.0% წ/წ).

2016 წლის თებერვალში, 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: აირები (-31.3% წ/წ), ავტომობილები (-40.2% წ/წ), ნავთობი (-17.1% წ/წ), სპილენძი (+1.1% წ/წ) და მედიკამენტები (-30.2% წ/წ, C-ჰეპატიტის პრეპარატების გამორიცხვით).

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის მე-4 კვარტალში რეალური მშპ-ს ზრდამ 2.9%, ხოლო 2015 წელს რეალური მშპ-ს ზრდამ 2.8% (უცვლელი წინასწარ მონაცემთან შედარებით) შეადგინა. მე-4 კვარტალში ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (+18.5% წ/წ), სასტუმროები და რესტორნები (+17.1% წ/წ), საფინანსო საქმიანობა (+16.3% წ/წ), უძრავი ქონება (+12.9% წ/წ) და სოფლის მეურნეობა (+9.8% წ/წ), ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი (-4.6% წ/წ) და ვაჭრობა (-1.8% წ/წ).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2016 წლის თებერვალში წლიურად 14.1%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების წლიური ზრდა 4.5% იყო) და 16.2 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2016 წლის თებერვალში წლიურად 18.0%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 7.7% იყო) და 14.6 მლრდ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 3.3%-ს გაუტოლდა (წლიურად გაიზარდა 0.1%-ული პუნქტით).

სავალუტო აუქციონი: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2016 წლის 21 მარტს სავალუტო აუქციონზე 10 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. დოლარის შესყიდვა ეროვნულმა ბანკმა წელს მეორედ განახორციელა ლარის მკვეთრი გამყარების შესანელებლად. მიუხედავად ინტერვენციისა, ლარი წინა კვირაში 4.5%-ით, ხოლო წლის დასაწყისიდან 3.4%-ით გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში.

„ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების გამოშვება: 2016 წლის 18 მარტს „ნიკორა ტრეიდი“ 5 მლნ აშშ დოლარის ობლიგაციების სადებიუტო გამოშვება განახორციელა. ფასიანი ქაღალდების განთავსება „გალტ & თაგარტმა“ უზრუნველყო. ობლიგაციების ვადა 2 წელია. „ნიკორა ტრეიდი“ საქართველოში უმსხვილესი საცალო სავაჭრო კომპანიაა, 203 სავაჭრო ობიექტით დედაქალაქის ყველა უბანში და საქართველოს ექვს რეგიონში (დეტალები იხილეთ ობლიგაციების გვერდზე).

ეკონომიკური ინდიკატორები


	2M16	2015E	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	0.8%*	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,566	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,743	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7**	3.7**	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	5.6%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.4	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	10.7%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	...	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.1%	35.5%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

*2016 წლის იანვარი

**მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2015	 Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	 BB- სტაბილური დადასტურებული ოქტომბერი-2015
--	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 700 მლნ ლარის (273.2 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.7 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 9.36% შეადგინა (38 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 23 მარტს 5-წლიანი 10 მლნ ლარის (4.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 13.336% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 30 მარტს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გაძვირებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროზღივაციები: საქართველოს ბანკის ევროზღივაციები (GEBGG) დაიხურა 4.8%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.6 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროზღივაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 100.8 (+0.3% წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროზღივაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 106.4 ფასად (+0.8% წინა კვირასთან შედარებით), 6.5%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროზღივაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 107.4 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.2%-იანი შემოსავლიანობით.

„გალტ & თაგარტი“ ნიკორა ტრეიდის 2-წლიანი 5.0 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები წარმატებით გამოშვება უზრუნველყო, 2016 წლის 18 მარტს. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს, ხოლო ობლიგაციათა რაოდენობა 5,000-ს. ობლიგაციის ეფექტური ღირებულება შეადგენს 11.0%-ს და გადახდა განხორციელდება წელიწადში ორჯერ.

ევროზღივაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	ადგილობრივი ობლიგაციები					ევროზღივაციები			
	Nikora 03/18	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	5	6*	20	15	10	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	03/16	11/15	03/15	05/15	09/14	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	03/18	11/17	03/17	05/17	09/17	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	11.000	15.000**	9.500	9.500	8.750	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	-/-	BB-/	-/-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0	100.0*	101.6	101.87	100.65	100.8	103.6	107.4	106.4
საშუალო პროცენტი %	11.0	15.0	7.75	7.75	8.25	6.2	4.8	5.2	6.5
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	486.4	391.0	374.3	503.7

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

**მეფრევი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 7.5%)

საქართველოს ევროზღივაციების ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროზღივაციების ძირითადი მონაცემები							
ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	107.4	5.2	374.3
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BBB-/Baa3	94.5	5.6	396.1
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/	119.9	1.1	-237.9
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba1	102.7	3.4	316.7
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	113.8	3.4	196.9
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.6	3.2	183.0
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	105.2	3.6	232.5
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	107.6	3.9	255.8

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 20.37 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+0.79% წინა კვირასთან შედარებით და +5.27% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 568 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 19.67 – 20.45 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 71 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 1.34%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 1.68%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.44% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 10.30 აშშ დოლარში (+6.63% წინა კვირასთან შედარებით და +8.42% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 362 ათასს გადააჭარბა, US\$ 9.66 – 10.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 24 ათასი აქცია შეადგინა, რაც მეტია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.64 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+3.80% წინა კვირასთან შედარებით და +9.33% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 1,132 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.55 – 1.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 84 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.86% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლიბერთი ბანკის აქციები ივაჭრებოდა 0.016 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით) და ლიბერთი ქონსუმერის აქციები ივაჭრებოდა 0.110 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი არ შეცვლილა და 886.18-ზე შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	28.89	1,141	7.0%	2.2%	2.7%	-10.7%	12.7%
TBC	TBC	10.30	504	8.4%	2.0%	11.4%	-18.3%	-13.1%
Halyk Bank	HSBK	4.55	1,241	26.4%	-7.1%	-26.4%	-46.5%	-33.1%
KKB	KKB	1.00	399	19.0%	-29.1%	-65.4%	-73.7%	-70.4%
VTB Bank	VTBR	2.09	13,544	14.3%	-2.9%	4.5%	-9.1%	-2.8%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	7.55	179	10.0%	-12.2%	-16.9%	2.4%	4.1%
Sberbank	SBER	6.54	35,316	12.6%	7.6%	35.1%	61.6%	44.0%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	2.33	298	11.1%	-5.1%	nm	nm	nm
Mouwasat	MOUWASAT	32.39	1,620	7.0%	1.7%	-2.4%	-1.5%	-10.1%
Fortis	FORH	2.71	1,256	10.8%	0.7%	3.5%	54.4%	9.9%
Raffles	RFMD	3.29	1,892	6.6%	12.4%	3.2%	12.0%	15.9%
IHH	IHH	1.62	13,322	4.7%	8.4%	20.2%	17.7%	-0.8%
Bangkok Chain	BCH	0.30	742	6.6%	21.2%	57.1%	23.8%	18.8%
Netcare	NTC	2.26	3,309	8.9%	-0.2%	-15.6%	-31.1%	-36.9%


წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




თიბისი ბანკი (TBCB LI)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge